

თპუ  
ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს  
სხდომის ოქმი №19

თბილისი

28 დეკემბერი 2011 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

ასოც. პროფ. ილონა საყვარელიძე, სრული პროფ. ნინო ორმოცაძე, სრული პროფ. მარიკა კუბლაშვილი.

სტუდენტები: მეგი ბირვაძე, ანტონ სისოევი.

სხდომის თავმჯდომარე: ასოც. პროფ. ილონა საყვარელიძე

სხდომის მდივანი: გაიანე გრიგორიანი

დღის წესრიგი:

1. თპუ ჯანდაცვის ფაკულტეტზე კბილის ტექნიკოსის პროფესიული კვალიფიკაციის მიმნიჭებელი საატესტაციო-საგამოცდო კომისიის შემადგენლობის დამტკიცება.

მოისმინეს:

1. თპუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის ასოცირებული პროფესორის ილონა საყვარელიძის ინფორმაცია თპუ ჯანდაცვის ფაკულტეტის 2011-2012 სასწავლო წელს დამამთავრებელი პროფესიული პროგრამის სტუდენტებისათვის კბილის ტექნიკოსის პროფესიული კვალიფიკაციის მიმნიჭებელი საატესტაციო-საგამოცდო კომისიის შექმნისა და დამტკიცების შესახებ. ასოცირებულ პროფესორმა ილონა საყვარელიძემ აღნიშნული კომისიის წევრობის კანდიდატები წარმოადგინა შემდეგი შემადგენლობით:

- ა) კომისიის თავმჯდომარეობა ეთხოვოს თპუ სრულ პროფესორს ნინო ორმოცაძეს;
- ბ) ასოცირებული პროფესორი ილონა საყვარელიძე;
- გ) ასოცირებული პროფესორი ირინე კალანდაძე;
- დ) კომისიის მდივანი ასისტენტ-პროფესორი მედეა მჭედლიძე;

აზრი გამოთქვას:

პროფესორმა ნ. ორმოცაძემ, პროფ. მ. კუბლაშვილმა.

ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭომ კენჭისყრის შედეგად ერთხმად გადაწყვიტა:

1. კბილის ტექნიკოსის პროფესიული კვალიფიკაციის მიმნიჭებელი საატესტაციო-საგამოცდო კომისია 2011-2012 სასწავლო წლისათვის დამტკიცდეს შემდეგი შემადგენლობით:

- ა) კომისიის თავმჯდომარე – თპუ სრული პროფესორი ნინო ორმოცაძე;
- ბ) ასოცირებული პროფესორი ილონა საყვარელიძე;
- გ) ასოცირებული პროფესორი ირინე კალანდაძე;

დ) კომისიის მდივანი ასისტენტ-პროფესორი მედეა მჭედლიძე;

2. ეთხოვოს თჱუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე:

ი.საყვარელიძე

სხდომის მდივანი:

გ. გრიგორიანი